

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 35

ქ.თბილისი

2021 წლის 2 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 2 აპრილს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ტ. მარგველაშვილის ოქმი, მთავარი მსაჯის ს.აბულაშვილის წითელი ბარათის ოქმი და ვიდეომასალა, მოუსმინა თბ „აკადემია“-ს მორაგბე თორნიკე ზოიძეს, ამა წლის 26 მარტს, დიდი 10-ს მატჩზე, ბათუმის „ბათუმი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. თბ „აკადემია“-ს მორაგბე თორნიკე ზოიძე - მეტოქისთვის ტრავმის მიყენება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.8 პუნქტით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „აკადემიას“-ს მორაგბე თორნიკე ზოიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2 მაისამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „აკადემია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/